

**„კონცენტრაციების სამართლებრივი სტრატეგია საქართველოში:
ეკონომიკური უპირატესობა თუ ბაზარზე დომინირებული
მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“**

ქეთევან კვაჭაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენელია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: დავით ქოჩიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

სახელმწიფოს ეკონომიკური გამლიერებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს არსებობას. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, კონკურენციის პოლიტიკა ერთმნიშვნელოვნად იხვეწება, რაც ევროპულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას გულისხმობს. ქვეყანაში განხორციელებული რიგი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, კონკურენციის შესახებ კანონში ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული ხარვეზები, რაც ხელს უშლის კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემოს არსებობასა და კონკურენციის პოლიტიკის ეფექტურ ფუნქციონირებას.

ნაშრომის თემატიკა ეხება კონკურენციის სფეროს, კერძოდ კი, ეკონომიკური აგენტების უფლებას იარსებონ ჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოში და განახორციელონ კონცენტრაცია. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეკონომიკურ აგენტებზეა დამოკიდებული ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა.

ნაშრომის მიზანია გამოიკვეთოს ბაზარზე კონცენტრაციის როლი და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები. აღნიშნულის მისაღწევად, მიზანშეწონილია ქართულ კანონმდებლობასთან ერთად, საერთაშორისო კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიმოხილვა, რათა დადგინდეს ის კრიტერიუმები რაც აუცილებელია კონცენტრაციების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად.

ABSTRACT

The healthy competitive environment has an essential role for the state economic improvement. After signing the Association Agreement, competition policy in Georgia has been clearly improved, which means that Georgian legislation is in compliance with EU one. Despite a number of legislative changes in the country, there are still some gaps in the competition law, which interferes with the competitive market environment and the existence of effective operation of competition policy.

The subject of the paper, is related to the field of competition, in particular, the right of the economic agents to exist in a healthy competitive environment and to merge. The issue is important, to the extent that, the healthy competitive environment in the country depends on the economic agent's activity.

The paper aims to outline the role of the market concentration and solutions in this regard. To achieve this, it is recommended, to review the international law and practice together with the Georgian legislation, in order to establish the criteria necessary for the concentration to be constructed into the legal framework.